საჯარო სამართლის იურიდიული პირი -
ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ბრძანება № 01-02/99

23 მაისი, 2023 წელი ქ. ბათუმი

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ სალომე სულაბერიძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის თარიღის დანიშვნისა და სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2017 წლის 5 აპრილის №19 დადგენილების, „ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს შექმნის, საქმიანობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შესახებ“ დებულების, „სსიპ „ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტში“ დოქტორანტობის კანდიდატთა ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2015 წლის 02 ოქტომბრის №01-09/471 ბრძანების, „2018-2019 სასწავლო წლის გაზაფხულის სემესტრისათვის ბსუ-ს „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე და „ბიზნესის ადმინისტრირების“ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ბსუ-ს სტატუსშეჩერებულ სტუდენტთა რიგგარეშე შიდა მობილობის წესით ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2019 წლის 26 მარტის №01-08/185 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2021 წლის 24 აგვისტოს №06-01/85 დადგენილების, „ბსუ-ს ფაკულტეტების ზოგიერთი დოქტორანტისთვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2022 წლის 06 სექტემბრის №06-01/82 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/06, 19.05.2023) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის, რეზო მანველიძის 2023 წლის 22 მაისის №573690 სამსახურებრივი ბარათის საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **სალომე სულაბერიძის** სადისერტაციო ნაშრომის **„აგროტურიზმის განვითარების პერსპექტივები გურიის რეგიონში“ საჯარო დაცვა დაინიშნოს 2023 წლის 02 ივნისს, 12 საათზე, №423 აუდიტორიაში** (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).
2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **დარგობრივი სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:
   2.1. **გელა მამულაძე** (კომისიის თავმჯდომარე) - ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს პროფესორი;
   2.2. **ლეილა ცეცხლაძე** (კომისიის მდივანი) - ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი;

2.3. **ნათელა წიკლაშვილი** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.4. **ასიე ცინცაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.5. **ვაჟა ვერულიძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს პროფესორი;

2.6. **გიორგი აბუსელიძე** – ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.7. **ნატალია რობიტაშვილი** - ეკონომიკის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.8. **ნანული მახარაძე** - ბიზნესის მართვის დოქტორი; ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.9. **ბადრი გეჩბაია** - ეკონომიკის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.10. **რამინ ცინარიძე** - ბიზნესისა და მართვის დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.11. **ირინა ვაშაყმაძე** - ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი.

2.12. **მერაბ დიასამიძე** - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;

2.13. **თამარ ბერიძე** - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი, ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი.

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის დეკანის ოფისმა უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მდივანმა უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს (პროფ. ა. ბერიძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ასისტენტ-პროფესორი ლ. ცეცხლაძე).
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი გამოცემიდან 1 თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 130).

რექტორი, პროფესორი **მერაბ ხალვაში**